საიდ. №74483/03

IR 1178434

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №35-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ს. ებრალიძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ჰარი ვინსტონ სა“ (Harry Winston SA) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №35-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №3058/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „HARRY WINSTON” (საიდ. №74483/03, IR 1178434) უარი ეთქვა საქართველოში დაცვის მინიჭებაზე მე-14 კლასის საქონლის განცხადებული

ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის №3058/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წამოდგენილი სასაქონლო ნიშანი "HARRY WINSTON" მსგავსია კომპანიის "ჯაპან ტობაკო ინკ." (მის: 2-2-1, ტორანომონი, მინატო-კუ, ტოკიო. JP) სახელზე მე-14 კლასში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა "WINSTON" (რეგისტრაციის თარიღი: 10.02.1997; რეგისტრაციის ნომერი: 4584). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და რეგისტრირებული ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვას ,,HARRY“, მაგრამ ეს არ სძენს მას განმასხვავებლობას, ვინაიდან ნიშანში აქცენტი კეთდება სიტყვაზე ,,WINSTON“. აღნიშნულის გამო, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში, კერძოდ მე-14 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ჰარი ვინსტონ სა“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ვიზუალურად და ჟღერადობით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ორი სიტყვისაგან და ქართულად

გამოითქმის, როგორც „ჰარი ვინსტონ“. დაპირისპირებული ნიშანი შედგება ერთი სიტყვისაგან და გამოითქმება, როგორც „ვინსტონ“. აპელანტის პოზიციით, იგი არ ეთანხმება ექსპერტიზის დასკვნას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ განცხადებულ ნიშანში აქცენტი კეთდება სიტყვიერ აღნიშვნაზე „WINSTON”. აპელანტის მითითებით, განცხადებულ ნიშანში ორივე სიტყვა თანაბრად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ნიშანი წარმოადგენს აპელანტი კომპანიის სახელწოდებას, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს კომპანიის დამფუძნებლის - სახელგანთქმული იუველირის „ჰარი ვინსტონის“ სახელს. შესაბამისად, აპელანტის აზრით, არამართებულია ექსპერტიზის დასკვნა იმის თაობაზე, რომ ნიშანში შემავალი სიტყვა „HARRY” არ სძენს განცხადებულ ნიშანს განმასხვავებლობას. აპელანტის განმარტებით, რადგან მომხმარებელი საქონლის შეძენისას ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ სასაქონლო ნიშანზე, არამედ საქონლის მწარმოებელზე და ამ შემთხვევაში განცხადებული ნიშანი ემთხვევა აპელანტი კომპანიის სახელწოდებას, არ მოხდება შვეიცარული და იაპონური კომპანიების ნიშნებისა და საქონლის აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. ამასთან, აპელანტმა წარმოადგინა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „ჯაპან ტობაკო ინკ.“ წარმომადგენლის, შალვა გვარამაძის 2015 წლის 08 ივნისის წერილის ასლი, სადაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია ითხოვს სასაქონლო ნიშნის „WINSTON” (რეგ. N4584) რეგისტრაციის ვადამდე შეწყვეტას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №3058/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „HARRY WINSTON” (საიდ. №74483/03, IR 1178434) უარი ეთქვა საქართველოში დაცვის მინიჭებაზე მე-14 კლასის საქონლის განცხადებული

ჩამონათვალის ნაწილის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშანს.

ამასთან, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა კომპანიის „ჯაპან ტობაკო ინკ." წარმომადგენელმა, შალვა გვარამაძემ საქპატენტს 2015 წლის 08 ივნისს მომართა წერილით და მოითხოვა დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანზე „WINSTON" (რეგ. 4584) რეგისტრაციის ვადამდე შეწყვეტა. საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის 2015 წლის 23 ივნისის N1083 ბრძანებით „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ" სასაქონლო ნიშნის „WINSTON" (რეგ. 4584) რეგისტრაცია გაუქმდა. აღნიშნული ცვლილება ასევე, 2015 წლის 23 ივნისს აისახა სასაქონლო ნიშნების ოფიციალურ რეესტრში, შესაბამისად არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ვინაიდან გაუქმდა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, შესაბამისად აღარ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „HARRY WINSTON" (საიდ. №74483/03, IR 1178434) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჰარი ვინსტონ სა" (Harry Winston SA) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" №3058/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „HARRY WINSTON" (საიდ. №74483/03, IR 1178434) უარი ეთქვა საქართველში დაცვის მინიჭებაზე მე-14 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „HARRY WINSTON" (საიდ. №74483/03, IR 1178434) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ნ. გოგილიძე
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	ს. ებრალიძე